ივანე ჯავახიშვილის სახ-ბის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს-

პროფესორ რამაზ ბოჭორიშვილს

ბატონო რამაზ,

მოგახსენებთ, რომ წარმოვადგენ -„ბავშვთა და მოზარდთა ესთეტიკური აღზრდისა და განვითარების ცენტრი“-ს დამფუძნებელსა და მეთოდურ ხელმძღვანელს.

ცენტრის საქმიანობა გარდა სავალდებულო საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და შემეცნებითი პროგრამებისა- ითვალისწინებს საქველმოქმედო ხასიათის სასწავლო პროექტებს მზრუნველობამოკლებული და სხვადასხვა ტიპის შეზღუდვების მქონე მოზარდებისთვის. პროექტი მიზნად ისახავს, ერთის მხრივ-„სწავლა ყველასთვის“ ფარგლებში შეზღუდვების მქონე მოზარდების ინტეგრირებას საზოგადოებასთან და მეორეს მხრივ, სტუდენტების და დაინტერესებული ახალგაზრდების თანაჩართულობას -„სწავლა სწავლების“ კუთხით.

მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ამ საქველმოქმედო ხასიათის აქტივობაში რეგულარულ მონაწილეობას იღებს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის- ფიზიკის დეპარტამენტის სტუდენტი **მიხეილ კიანი პ/N- 01017052369.**

მიხეილის კომპეტენციას წარმოადგენს სახალისო ხასიათის, საგანმანათლებლო-ციფრული ციკლი: „დააკვირდი ბუნებას“.

პროექტი, რომელიც ემსახურება მედიაწიგნიერების ამაღლებას ახალგაზრდებში, ეფუძნება პირადი სოციალური პასუხისმგებლობის ქვაკუთხედს, რაც ვფიქრობ ძალზე მნიშვნელოვანი და საჭიროა ჩვენი საზოგადოებისთვის.

მხარდამჭერი ორგანიზაციები და პირადად მე, მადლობას ვუხდით უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას და შესაბამის სასწავლო დეპარტამენტს. ვფიქრობთ ეს, ის მცირედი მადლიერების გამოხატულებაა, რაც გაგვაჩნია ჩვენ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდებს მიხეილის მიმართ.

პატივისცემით,

ხათუნა ნანობაშვილი

N- 2/2

23. 06. 2015

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
შემოსული № 61/20 გვ. 1
“ 23 ” 06 2015 წ.
ხელმოწერა